ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №22 (7098) 15 ნოემბერი 2023 წელი

ისტორიული გადაწყვეტილება მიღებულია!

ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ევროკომისიის გადაწყვეტილება, რომელმაც ევროსაბჭოს მისცა დადებითი რეკომენდაცია, საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად.

უდავოა, ეს, ევროპისკენ წინგადადგმული კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი, ქართველი ხალხის, მისი არჩევანის, ჩვენი უცხოელი მეგობრების, სამთავრობო და ევროსტრუქტურების, ყველა იმ მოქალაქის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თუ ნებისმიერი, ჩვენი ქვეყნისთვის კეთილისმყოფელი პიროვნების დამსახურებაა.

მადლობა მათ ყველას!

8 ნოემბერს, როცა ევროკავშირის ეს რეკომენდაცია საჯაროდ გაცხადდა, გარკვეული დათქმებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი ეს ფაქტი მარტო სამადლობელი სიტყვებით არ აღნიშნულა. ევროკავშირის დროშის ფერებში განათდა ქვეყნის მთავარი შენობები, მოეწყო სხვა შესაფერისი სიმბოლური ღონისძიებები.

მომავალში, ევროკავშირის წევრობის გზაზე, ბევრად რთული ნაბიჯებია გადასადგმელი.

იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენ, ერთად და ერთმანეთის თანადგომით ამას შევძლებთ—დეკემბერში კანდიდატის სტატუსსაც მივიღებთ, შემდგომ კი წევრობისათვის მოსალაპარაკებელ მაგიდასაც მივუსხდებით...

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან... ☞2, 3

ორი თარიღი—წელი 1906 და წელი 1973 ☞4

მუდმივი განვითარება და ბრძოლა წარმატებისთვის ☞5

თოჯინები მოგვითხრობენ უფლებებზე... ☞6

საშვილიშვილოდ სასიკეთო საქმე...



ამ დღეებში, სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში ზვიად შალამბერიძემ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერთან, მანუჩარ რობაქიძესა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებთან, დავით გოგბერაშვილსა და ჯემალ ისაკაძესთან ერთად, თერჯოლაში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ 10 ოჯახს საცხოვრებელი სახლი გადასცა.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საშვილიშვილოდ სასიკეთო საქმე...

1☜

ზვიად შალამბერიძე: *„თერჯოლის მუნიციპალიტეტში ოჯახებს კეთილმოწყობილი სახლები გადაეცათ. თერჯოლაში, ჯამში, ჩვენ ამ პროექტის ფარგლებში 29 ოჯახი დავაკმაყოფილეთ. მისასალმებელია ის, რომ იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებიც შეუერთდნენ პროექტს. წყალტუბომ და ტყიბულმა უკვე გადასცეს სახლები ოჯახებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ჰქონდათ ამის საჭიროება. მომავალ წელს კიდევ უფრო გავაფართოვებთ პროექტს და მასში ჩაერთვებიან იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებიც“.*

მანუჩარ რობაქიძე: **„თერჯოლის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახლების მშენებლობა, რომელიც „სახლდაზიანების“ პროგრამის ფარგლებში უკვე მეხუთე წელია წარმატებით ხორციელდება. მიმდინარე წელს დასრულდა 10 ახალი სახლის მშენებლობა. პროექტის ღირებულება ნახევარ მილიონ ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტში, საერთო ჯამში კი, ბოლო 5 წელიწადში საცხოვრებელი სახლებით 29 ოჯახი იქნა უზრუნველყოფილი“.**

ეს წარმატებული პროგრამა, რასაც იმერეთში უკვე გაუჩდნენ მიმდევრები, ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

როგორც ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, **ბადრი ბრეგაძემ** აღნიშნა **„ეს არის სიკეთის პროგრამა, რომელიც ოჯახების გაძლიერებას ემსახურება. ჩემი პირადი განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისიის მიერ მოხდა, საცხოვრებელი პირობების ადგილზე გადამოწმება, დეტალური განხილვა და დავკმაყოფილდით კიდეც.“**

მაგდა წიგნაძე: **„წლები ვერ შევძლებდი მე ასეთის გაკეთებას ჩემი შვილებისათვის. ვარ უბედნიერესი ადამინი, რომ ასეთი ულამაზესი კეთილმოწყობილი სახლი გადმოგვეცა და ჩემი შვილებიც არიან უზომოდ გახარებულები.**

დიდ მადლობას ვუხდი ყველას, თითოეულ მათგანს, ვინც ერთი პატარა, ელემენტარული წვლილი მაინც შეიტანა ამ კეთილ საქმეში“.

ყველა სხვა შემთხვევაშიც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე პირთა განცხადებები საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ასევე შესაბამისმა კომისიამ შეისწავლა და გადაწყვეტილებაც დეტალური განხილვის შედეგად მიიღო.

ბენეფიციარებს ახალმოსახლეობა, ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ალისუბნის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ბადრი ბუცხრიკიძემ,** ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **მანუჩარ ფანჩულიძემ,** ნახშირღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა **ზურამ ლომთაძემ,** საკრებულოს წევრებმა და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლებმა მიულოცეს.

მომავალი საბიუჯეტო წელი ახლოვდება...

მომავალი საბიუჯეტო წლისათვის მზადება აქტიურ ფაზაშია. საქართველოს მთავრობამ უკვე საჯაროდ გამოაქვეყნა ის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც დიდი ალბათობით, 2024 საბიჯეტო წლის საყრდენი მაჩვენებლები გახდება, საქართველოს პარლამენტში მისი საბოლოო დამტკიცების შემდეგ. უნდა ითქვას, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად მზარდია, რაც შესაბამისად ასახულია გამოქვეყნებულ მაჩვენებლებში.

ამ დღეებში, იმერეთის მუნციპალტტების მერები და საფინანსო სამსახურების წარმომადგენლები მიწვეული იყვნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში, სადაც განიხილეს მომავალი საბიუჯეტო წელში მუნიციპალიტეტების საჭიროებებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერის მოცულობები, ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტს ამ საქმიან შეხვედრაზე წარმოადგენდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და მერიის საფინანსო სამსახური. განხილვას ესწრებოდა იმერეთში სახემწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე.

იმედს ვიტოვებთ, რომ ქვეყნის მზარდი ბიუჯეტი შესაბამისად აისახება თერჯოლისთვის ცენტრიდან მისაღებ ტრანსფერებზე და სხვადასხვა მიმართულებით გადასაწყევტ პრობლემათა დაფინანსებაში.

საქართველოს 2024 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

2024 წელს, საქართველოს ბიუჯეტი 28 მილიარდ 500 მილიონი ლარი იქნება. შედარებისთვის - საქართველოს ბიუჯეტი 2012 წელს 9 მილიარდი ლარი იყო.

2024 წელს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი - 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი იქნება. სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა ხელფასი საშუალოდ 500 ლარით გაიზრდება.

2024 წელს, ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 7 მილიარდ 800 მილიონი ლარი იქნება.

გაიზრდება ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება და მომდევნო წელს, პენსიონერები მთელი წლის განმავლობაში უფასოდ მიიღებენ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს; დაიწყება ონკოლოგიური პაციენტების ადრეული კვლევების დაფინანსება.

2024 წელს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 3 მილიარდ 400 მილიონი ლარი იქნება. მიმდინარეობს და გაგრძელდება გზების, ხიდებისა და მაგისტრალების მშენებლობა, მუნიციპალიტეტებისა და კურორტების ურბანული განახლება. 2024 წელს, 10 ტურისტულ ქალაქში დაიწყება მასშტაბური სამუშაოები, დასრულდება მთავარი მაგისტრალი რიკოთის უღელტეხილზე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ასევე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრების კომპენსაცია გაიზარდა 1 000 ლარიდან 1 200 ლარამდე. ასევე გაიზრდება 9 აპრილის მონაწილეთა და პოლიტრეპრესირებულთა ოჯახის წევრების ყოველთვიური საყოფაცხოვრებო სუბსიდია.

2024 წელს გაიზრდება ყოფილი პოლიციელებისა და ჯარისკაცების პენსიები - ბიუჯეტში გათვალისწინებულია კანონით განსაზღვრული 560 ლარიანი მაქსიმალური ზღვრის გადაანგარიშება 1000 ლარამდე. ასევე, საშუალოდ 20 პროცენტით გაიზრდება ნამსახურების თითოეულ წელზე გათვლილი თანხის მოცულობა.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

საშემოდგომო ზეიმი ახალ საბავშვო ბაღში

მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროექტების ფარგლებში, საინტერესოდ ტარდება საშემოდგომო ზეიმები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძეს და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელ მაია თორთლაძესთან ერთად ქალაქ თერჯოლის ახლადაშენებულ, №3 საბავშვო ბაღში იმყოფებოდა, სადაც ახალრეაბილიტირებულ გარემოში აღსაზრდელების მიერ საშემოდგომო ზეიმი მოეწყო. ზეიმი დატვირთული იყო შემოდგომის მოტივებზე შექმნილი სხვადასხვა საინტერესო აქტივობით.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ქალაქ თერჯოლის მე-3 საბავშვო ბაღი საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფონდის დაფინანსებით აშენდა და ბაღი 120 აღსაზრდელზეა გათვლილი.

სოფელ ძევრში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

ამ ბაღის მშენებლობას მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს. ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ასევე ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარ დეპუტატ მანუჩარ ფანჩულიძესთან ერთად, სოფელ ძევრში ახალი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა, მშენებელი კომპანიის წარმომადგენელს ესაუბრა და დეტალური ინფორმაცია მიიღო პროექტის ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ.

პროექტის ფარგლებში აქ 50 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო.

რეკრეაციული სივრცის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა

სოფელ ძევრში, მდ. ძევრულას კარსტულ ხეობაში, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდის დაფინანსებით, რეკრეაციული სივრცის მოწყობა დასკვნით ეტაპზეა.

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ასევე ძევრის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარ დეპუტატთან, მანუჩარ ფანჩულიძესთან ერთად მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა.

ამ დროისთვის საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულებულია გაბიონებისა და მდ.ძევრულაზე გადასახედების, საინფორმაციო ცენტრის, საპიკნიკე ფანჩატურების და გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა.

პარალელურად მოეწყო გამწვანება და პროცესი გრძელდება.

სრიგპ პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარე წელს დასრულდება.

ახალთერჯოლის წყალი...

სოფელ ახალთერჯოლის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, წყლის მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

მიმდინარე პროცესი, მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილთან, ასევე სიქთარვისა და ახალთერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატ ჯემალ ისაკაძესა და საკრებულოს წევრ ბიძინა ბუცხრიკიძესთან ერთად ადგილზე დაათვალიერა, მშენებელი კომპანიის წარმომადგენელს გაესაუბრა და პროექტის ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

ამ დროისთვის სოფელ ძევრში მიმდინარეობს იმ სათავე ნაგებობისა და სატუმბი სადგურის მოწყობა, საიდანაც უნდა მოხდეს სოფელ ახალთერჯოლისთვის წყლის მიწოდება.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყლის ცენტრალურ რეზერვუარს, მოეწყო მიმწოდებელი მაგისტრალები და საქლორატორო.

სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის სამშენებლო სამუშაოები რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის დასრულების შემდეგ სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

სამუშაო შეხვედრას ახალთერჯოლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი, გრიგოლ კუბლაშვილი ესწრებოდა.

ორი თარიღი—წელი 1906 და წელი 1973

ორი მნიშვნელოვანი თარიღი უკავშირდება ეწრის საჯარო სკოლას. 1906 წელი, როცა დაწყებითი საფეხურის სკოლა გაიხსნა და 1973 წელი, საშულო სკოლის გახსნა. პირველი სკოლა ადგილობრივი მღვდლის თაოსნობით ლევან უკლებასა და ბახო უკლებას კერძო ბინებში გაიხსნა. მასწავლებელი იყო ევსასია რობაქიძე—მღვდლის შვილი. მასწავლებელი სწავლის საფასურს მოსწავლეებისაგან იღებდა.

1912 წელს დაწყებითი სკოლა გაიხსნა სახელმწიფო ანგარიშზე და ასწავლიდნენ გალინა უკლება და მისი მამა მეთოდე უკლება—მღვდელი. ეს სკოლაც კერძო—იროდი ბარდაველიძის და ტარასი აბულაძის ბინაში იყო.

1920-1029 წლებში უკვე ოთხი კლასის განათლების მიღება შეეძლოთ ეწრელ მოზარდებს, ჯერ კიდევ კერძო—ერმალო, ვალიკო ზარნაძეების, კოლია ცნობილაძის და ალექსანდრე ვარდოსანიძის ბინებში. ბოლოს კი სკოლა კონსტანტინე აბულაძის ბინაში გადაიტანეს, მას მემკვიდრე არ დარჩენია და 1929 წელს სკოლა გადმოიტანეს სოფლის ცენტრში, იქ, სადაც ამჟამად მდებარეობს.

1935 წელს ეწერში შვიდწლიანი სკოლა

ეს სურათი 50 მეტი წლის წინ არის გადაღებული... იმ დღეს, როცა საშუალო სკოლის ბალავერი ჩაიყარა. უხარიათ პატარებს...

გაიხსნა, 1941 წელს კი საშუალო, მაგრამ 1946 წელს მთავრობის დადგენილებით საშუალო სკოლა გაუქმდა.

სკოლას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გალაკტიონ გამეზარდაშვილი, ნოე ზარნაძე, კასიონ ცხადაძე, ვანო მაკარიძე, მიშა ყიფიანი, ქეთო ბარდაველიძე, დავით ზარნაძე, კოტე ლომთაძე, ვერა რობაქიძე, იასონ გელაშვილი, რეზო ზარნაძე, ლევან ცქიფურიშვილი, პავლე ისაკაძე, გოგი ცხადაძე, გრიგოლ არეშიძე, ნინელი გვენეტაძე, დათო არაბიძე...

იასონ გველესიანი სკოლას ხელმძღვანელობდა 1948-1952 და 1962-1973 წლებში. მის სახელს უკავშირდება საშუალო სკოლის გახსნა, ახსოვთ რა დიდი ჩარევის, ბრძოლის ფასად მოუპოვებია სკოლის მშენებლობის პროექტი.

ჩამოთვლილთაგან ცოცხლები აღარავინაა, პატივი მიეგო მათ ხსოვნას.

***

სკოლის დირექტორად 1989-2009 წლებში თემურ აბესაძე მუშაობდა—კარგი მასწავლებელი და კარგი ხელმძღვანელი. მან და სკოლის პედაგოგებმა შემოგვინახეს სკოლის ისტორია. ბატონი თემური მოწვეული იყო სკოლის საზეიმო ღონისძიებაზე, მაგრამ ვერ მოვიდა და გული დაწყვიტა კოლეგებს.

იმ დღეს გაჟღერდა ცნობები 1917-1967 წლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, რომელიც ამ წლებში უფრო მეტად მზარდი ყოფილა. მოსწავლეთა რაოდენობა მერყეობდა 50-დან 500-მდე, ხოლო პედაგოგთა რაოდენობა 2-დან 25-მდე. სამწუხარო შემდეგ წლებში მოსწავლეთა რაოდენობის კლება აღინიშნებაო— ამბობენ პედაგოგები.

სკოლის წარსულზე საინტერესოდ ისაუბრა პედაგოგმა ნუგზარ ხვარეშიამ.

საშუალო სკოლის 50 წელი...

იასონ გველესიანის დირექტორობის პერიოდში საშუალო სკოლის ბალავერი ჩაიყარა. 1973 წელს კი საშუალო სკოლა გაიხსნა. დიდი ზეიმი ყოფილა, ეწრელები ამაყობენ სკოლის ისტორიით და დღევანდელი მიღწევებითაც, 117 წლის წინ სკოლის გახსნა მართლაც რომ საამაყოა. ეწრელები პატივს მიაგებენ ადამიანებს, რომლებიც განათლების საქმეს ყურადღებას აქცევდნენ და სკოლის ისტორიას ქმნიდნენ.

იუბილე და გაცილება

2023 წლის 31 ოქტომბერი, ოქროსფერი, მზიანი შემოდგომის ეს დღეც ისტორიის კუთვნილება გახდება და ისეთივე სიყვარულით გაიხსენებენ თაობები ამ თარიღს, როგორც ახლა იხსენებენ ეწრელები.

საშუალო სკოლის 50 წლის იუბილეს, სკოლის დირექტორის ია ხვარეშიას გაცილება დაამთხვიეს და ორივე თარიღმა საინტერესო, მიმზიდველი განწყობილება შექმნა.

სკოლის ეზოდან იწყებოდა ზეიმის განცდა, იყო უამრავი ყვავილი და ზეიმის მაუწყებელი სხვა მანიშნებლები, იკრიბებოდნენ მოსწავლეები, იყო მოკითხვა და სიყვარული, ყველას ერთმანეთი მონატრებია. მოვიდნენ სკოლის ყოფილი პედაგოგები, კურსდამთავრებულები, სოფლის მცხოვრებნი. მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, მისმა პირველმა მოადგილემ მირზა ქოჩიაშვილმა, მერიის თანამშრომელმა სოსო ჩაფიჩაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა დავით გოგბერაშვილმა და ჯემალ ისაკაძემ სკოლის იუბილე მიულოცეს პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს, მოეფერნენ და პატივისცემა გამოხატეს თითოეულისადმი.

***

საზეიმო ღონისძიება საქართველოს ჰიმნით გაიხსნა. სკოლის დირექტორმა მირანდა ჟორჟოლაძემ მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს, ყველას მიულოცა საშუალო სკოლის 50 წლის იუბილე და ხაზი გაუსვა პედაგოგიურ კოლექტივთან, მშობლებთან, ია ხვარეშიასთან სამომავლო ურთიერთობებს, იმას, რომ კვლავაც ერთად იმუშავებენ, გამოიყენებს იას გამოცდილებას და დააფასებენ მის დამსახურებას.

სიტყვა იას გადაეცა. მან, როგორც სკოლის ყოფილმა კურსდამთავრებულმა, მასწავლებლებმა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა, სასწავლო ნაწილის გამგემ და სკოლის დირექტორმა ისაუბრა ყოფილ პედაგოგებზე, დირექტორებზე, იმ წარმატებებზე, რაც სკოლის 50 წლის მანძილზე მიუღწევია, იმ სიყვარულზე, რაც მას სოფელთან, კურსდამთავრებულებთან, ახლანდელ მოსწავლეებთან აკავშირებს—ეწერში ყოველი ხე, ბუჩქი, ლოდიც კი მიყვარს, ადამიანი მითუმეტესო. ია მადლობელია, რომ კოლექტივი ერთიანია, ერთი მიზნით და სულისკვეთებით აკეთებენ საქმეს, სწორედ ამიტომ აღიზარდა აქ ღირსეული თაობები. ია მოეფერა პენსიონერ პედაგოგებს, მადლობა გადაიხადა, რომ ფასდება ამ სკოლაში მისი 35 წლიანი მოღვაწეობა. დიახ, დაფასდა, ის უყვართ, პატივს სცემენ. ყოფილმა კურსდამთავრებულებმა, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა არაერთხელ გადაუხადეს მადლობა. იას მიმართ განსაკუთრებული მადლობა გამოხატა მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, სხვა სტუმრებმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, რესურსცენტრის სხვა თანამშრომლებმა.

იას ყვავილები და სამახსოვრო საჩუქრები მიართვეს. მართლაც, ღირსეულად დატოვა იამ თანამდებობა, გზა დაუთმო ახალს, რომელსაც გვერდში დაუდგება უდიდესი გამოცდილებით. ია და მირანდა პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ღირსეულად გააგრძელებენ ტრადიციას.

სკოლის იუბილეზე სიტყვით გამოვიდნენ კურსდამთავრებულები: ნანა რობაქიძე, მზია ზარნაძე. მარინა ბარდაველიძემ სურათი მოიტანა იმ დღეს გადაღებული, როცა სკოლის მშენებლობის ბალავერი ჩაიყარა „ჩვენც ვმონაწილეობდითო, ვეხმარებოდით მშენებლებსო“—თქვა მარინამ და უფრთხილდება ამ სურათს, სადაც ბევრნი არიან გადაღებულნი.

ღონისძიებას ამშვენებდა ეწრელი მოსწავლეების მიერ შესრულებული სიმღერები, ცეკვები (ქორეოგრაფი მალხაზ აბულაძე), მხატვრულად წაკითხული, მასწავლებლისადმი მიძღვნილი ცნობილი პოეტების ლექსები, გამორჩეული სიტყვები „უსწავლელობის დამმარცხებელი“, „მასწავლებელი შუქი სულისა“, „შენ დაგიკრიფე პირველი ია“ და სხვა. სკოლის მოსწავლეებს სიმღერასა და მხატვრულ კითხვაში მასწავლებლებიც უერთდებოდნენ, პროფესიონალის დონეზე შეასრულა რამდენიმე სიმღერა იასონ გველესიანის შვილიშვილმა საბა ლოსაბერიძემ. მადლობით მოიხსენიეს სოფლის მკვიდრნი, სკოლის დამხმარე და აქტიური ადამიანები: რამაზ ცქიფურიშვილი, კობა კაცაძე, მამუკა არაბიძე, ზურიკო ქათამაძე, ნატო ეგუტიძე, დათო რობაქიძე, ლადო ხვარეშია, „სადაც მოისურვებთ იმ ექსკურსიას დაგიფინანსებთო“—გასცა დაპირება ლადომ და ეწრელ პედაგოგებს დამახსოვრებული აქვთ ეს სიტყვები.

მამა სპირიდონი (ცქიფურიშვილი)— ამ სკოლის აღზრდილი, მალე აკურთხებს სკოლას.

გაიხარეს ყოფილმა პედაგოგებმა: ჯულიეტა ზარნაძემ, მარსელი ბოჭორიშვილმა, დალი გველესიანმა, რომელსაც შვილი, ია დოღონაძეც ახლდა, ეთერ უკლებამ, მანანა მემანიშვილმა, ნუცა ბარდაველიძემ, ზურაბ ცირეკიძემ, გონერი აბჟანდაძემ, დათო ზარნაძემ, რომლებიც მოწვეული იყვნენ იუბილეზე და იას გაცილებაზე, გაიხარეს თაიგულებით და მოფერებით...

ქველმოქმედება

არ დავიწყებიათ, მადლობლები არიან ყოფილი მოსწავლეებით, ახლა ქველმოქმედებით რომ იხდიან ამაგს—ოლეგ გავაშელაშვილი (მოაწყო კომპიუტერების ოთახი), ძმები დემურ და დათო გვენეტაძეები (შეიძინეს ინვენტარი), ავთანდილ აბესაძე, ბესიკ ხვარეშია (შეიძინა პრინტერი).

ეწრის სკოლა დღეს

ეწრის სკოლაში 80 მოსწავლეა. მათ სწავლებას 21 მასწავლებელი ემსახურება. ყველა მათგანი სტატუსიანია, მათ შორის 1 მენტორია, 2 წამყვანი. ჰყავთ ეტალონელი მოსწავლე ელენე ჭელიშვილი. საბაზო საფეხურის სამმა მოსწავლემ განათლების სამინისტროდან კომპიუტერები დაიმსახურეს, ჰყავთ მაღალი აკადემიური მოსწრების, სხადასხვა ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეები, ხშირად ტარდება სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები.

***

სკოლის იუბილის და ახლა უკვე ყოფილი დირექტორის ია ხვარეშიას გაცილების ღონისძიება შეაფასა მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ. ბატონ მანუჩარს მოეწონა მოსწავლეები, ორგანიზებულობა, იას საქმიანობას კი კარგი და წარმატებული უწოდა. მიულოცა ახალ დირექტორს მირანდა ჟორჟოლაძეს და წარმატებები უსურვა მას და მთლიანად სკოლას.

მირანდა ჟორჟოლაძემ სამადლობელი არაერთხელ გაიმეორა. მრავალჯერ ითქვა ისიც, რომ სკოლები იმიტომაც არიან წარმატებულები, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრი დგას მოწოდების სიმაღლეზე.

***

დასასრულს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა, ღონისძიების წამყვანებმა, უფროსკლასელებმა ანანო ზარნაძემ, ომარ აბესაძემ შეასრულეს საფინალო სიმღერა.

***

მსგავსი ღონისძიების თანამდევი სუფრაა. ზომიერი, საქმიანი, აქაც საუბარი იყო სკოლაზე, მოსწავლეებზე, განათლების ღირებულებებზე, აქაც შეფასდა მიღწეული, კვლავ და კვლავ მოეფერენ იას, წარმატებები უსურვეს ახალ დირექტორს და სკოლას. ამ „განყოფილებასაც“ გასდევდა აზრი „ვინც დაივიწყა წარსული, დაივიწყა მომავალი“.

ეწრელ პედაგოგებს არ დავიწყებიათ წარსული, ხედვა კი მომავლისაკენ აქვთ.

სკოლის პედაგოგებმა, მშობლებმა, მოსწავლეებმა ვრცლად ისაუბრეს ია ხვარეშიაზე. ვრცელ მასალას მასზე მომავალში შემოგთავაზებთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალი დირექტორი— საინტერესო ხედვებით

მირანდა ჟორჟოლაძე 15 წელია ასწავლის. არის გეოგრაფიის წამყვანი პედაგოგი, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. „აქტიური, ენერგიული, მაღალი კვალიფიკაციით, სკოლაზე, ბავშვებზე შეყვარებული, საგნის მცოდნე და საინტერესო პიროვნება, საინტერესო გამოცდილებით და ხედვით“—ასე თქვეს მასზე მასწავლებლებმა.

მუდმივი განვითარება და ბრძოლა წარმატებისთვის

2017 წლის 17 ივნისი... ამ დღეს მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი „იმერმედი“ (ახლა იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი) გაიხსნა. ამ დაწესებულებაზე პირველი ვრცელი ინფორმაცია 2017 წლის 15 ივლისს მივაწოდეთ მკითხველს. ვწერდით, რომ იქ, ერთ თვეში 127 პაციენტმა გაიარა მკურნალობა.

სრული 6 წელი გავიდა მას შემდეგ. ამ პერიოდში ამბულატორიული მკურნალობა გაიარა 18974 პაციენტმა, სტაციონალური 19866 პაციენტმა, უმკურნალეს 4016 კოვიდ პაციენტს.

დამფუძნებლებმა: ვლადიმერ კეპულაძემ, ოთარ მაკარიძემ მაშინ თქვეს, რომ „თერჯოლამედის“ კვალიფიციური, ადგილობრივი და მოწვეული სპეციალისტები, მრავალი სახის სამედიცინო სერვისი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების არა მარტო თერჯოლაში, არამედ მთლიანად იმერეთის რეგიონში.

„იმერმედის“ ხელმძღვანელობა ყოველწლიურ ანგარიშს აბარებს მოსახლეობას, ყოველ წელს იყო დაპირებები და შეუსრულებელი არაფერი დარჩენილა. გამართლდა იმედები, გამართლდა დევიზი—მაღალი ხარისხი, კვალიფიციური კადრები, თანამედროვე ტექნოლოგიები, პაციენტებთან ურთიერთობა, ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა.

„იმერმედს“ ყველაზე მძიმე წლები გადატანილი აქვს, ეს წლები იყო დანაპირების შესრულების, აღიარების მოპოვების წლები. ჩვენ ვაკეთებდით იმ სერვისების ჩამონათვალს, რომლითაც სარგებლობდა, ან ისარგებლებდა მოსახლეობა. ახლა შეგვიძლია რამდენიმე წინადადებაში ჩავატიოთ სათქმელი—აქ ყველაფერია, რაც უნდა ჰქონდეს თანამედროვე სამედიცინო კლინიკას, მაგრამ იქნებ არის კიდევ რამე ისეთი, რომლის დანერგვაზედაც ფიქრობენ იმერმედის ხელმძღვანელები. ბატონებს: ვლადიმერს, ოთარს, ქალბატონ სოფიკოს აქვს მხარდაჭერა, რომელიც მოპოვებულია საქმით, კეთებით, შრომით, მრავალი შემოწმების შემდეგ...

ცვლილებები აკრედიტაცია—ლიცენზირების სფეროში

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ცვლილებები შევიდა სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაცია-ლიცენზირების სფეროში, გამკაცრდა, როგორც მოფუნქციონირე, ისე ახალი დაწესებულებების გახსნის რეგულაციები—რაც მოიცავს, კლინიკის აღჭურვას თანამედროვე სამედიცინო აპარატებით, ინფრასტრუქტურით და შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრებით. მოთხოვნები გაიზარდა პაციენტთა და სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების და სანიტარული დაცვის მიზნით.

იმერმედის განაცხადი

ამ რეგულაციების შესაბამისად იმერმედმა მიმდინარე წლის 25 ივლისს ჯანდაცვის სამინისტროში გააკეთა განაცხადი ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ნებართვების განახლების შესახებ.

შემოწმების მასალების მიხედვით, იმერმედმა დააკმაყოფილა კანონმდებლობასთან შესაბამისი ყველა მოთხოვნა და 2023 წლის 2 ოქტომბერს მიეცა უფლება ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გააგრძელოს საქმიანობა.

ეს უდიდესი წარმატებაა, ეს არის მუდმივი განვითარება.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულაციების სააგენტოდან არის ასეთი ბრძანება—იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრზე გაიცეს ნებართვა საქმიანობაში—რეანიმაციული მომსახურება—ინტენსიური მკურნალობა—მოვლა I-II-III დონე. ნებართვა საქმიანობაში—ქირურგიული მომსახურება II-III დონე.

მთავარია სიცოცხლის გადარჩენა

რამდენიმე თვეა კლინიკა იმერმედს შემოუერთდნენ ექიმები, რომლებმაც ურთულესი ოპერაციები ჩაატარეს დადებითი შედეგებით, ასეთი ოპერაციები კეთდება დიდი მასშტაბის კლინიკებში, ასეთი ოპერაცია ჩატარდა იმერმედში, ეს დიდი ფუფუნებაა.

***

მიმდინარე წლის ოქტომბერში კლინიკა „იმერმედის“ ემერჯენსის განყოფილებაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებული პაციენტი შემოიყვანა. იგი იყო უგონო, კრიტიკული მდგომარეობით. განყოფილებაში მას გაეწია მყისიერი, ადექვატური დახმარება. მოხდა დიაგნოზის ვერიფიცირება დიაგნოზით—გულმკერდის დახურული ტრამვა, მარჯვნივ შვიდი ნეკნის მრავალფრაგმენტული მოტეხილობა, მარჯვენამხრივი ტრამვული, ჰემოპნევმოთორაქსი, ჰემოპერიკარდიუმი.

პაციენტს ჩაუტარდა თორაკოტომია, პერიკარდიოტომია, პულმონორაფია, პლევრის ნაწილობრივი დეკორტიკაცია, მარცხენა იდაყვის და წინამხრის დამსხვრეული ძვლების ოსტეოსინთესი.



ავთანდილ ცხადიაშვილი

გივი კოჭლამაზიშვილი

კონსტანტინე კარანაძე

ტარიელ კუხიანიძე

სალომე რობაქიძე

ოპერაციის შემდგომი პერიოდი რეანიმაციულ განყოფილებაში წარიმართა მაღალკვალიფიციურად, ხანგრძლივი ბრძოლის და მკურნალობის შემდეგ მიმდინარეობს მზაობა პაციენტის ბინაზე გაწერის.

ექიმები, რომლებმაც ეს სიცოცხლე გადაარჩინეს

რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი გივი კოჭლამაზიშვილი, რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ტარიელ კუხიანიძე, რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი სალომე რობაქიძე, ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი ავთანდილ ცხადიაშვილი, ზოგადი ქირურგი, თორაკოქირურგი კონსტანტინე კარანაძე, ორთოპედ-ტრამვატოლოგი გიორგი ფუტკარაძე.

***

ქირურგიული დეპარტამენტი ახორციელებს როგორც მწვავე, ისე გადაუდებელ და გეგმიურ ოპერაციებს. 750 პაციენტს ჩაუტარდა კორონაროგრაფია და 500 პაციენტის სტენდირება.

და, ეს ყველაფერი არ არის

ნევროლოგიური განყოფილება: ახალი რეგულაციების შესაბამისად კლინიკას მიენიჭა ინსულტის მართვის პირველი დონე, რაც ითვალისწინებს თრომბოლიზისურ თერაპიას, რაც სიცოცხლის გადარჩენის და ხარისხის გაუმჯობესების გარანტიაა. ამ სამსახურის ბაზაზე ფუნქციონირებს რეგიონალური ცენტრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს რეგიონიდან გაუსვლელად გაეწიოს პაციენტს მომსახურება.

თერაპია და პალიატიური განყოფილება: განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა და მუშაობს პოსტკოვიდურ პაციენტების მართვაში.

რეანიმიცია: აღჭურვილია ულტრათანამედროვე აპარატურით და ინფრასტრუქტურით, აქ ახალი ექიმებიც არიან, თითოეული აქ მომუშავე ექიმის ანგარიშზე მრავალი გადარჩენილი სიცოცხლე და მადლიერი პაციენტია.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი: აქ გაერთიანებულია სამშობიარო სახლი და პედიატრიული განყოფილება, რომელიც მუდმივად ზრუნავს მომავალზე, სამშობიარო სახლში ახლა გაცილებით მეტი ბავშვი იბადება, ვიდრე ადრე. ფუნქციონირებს იმუნიზაციის კაბინეტი, რომელმაც მაღალი შემოწმება მიიღო, დეპარტამენტს ჰყავს მადლიერი პაციენტები.

პოლიკლინიკა: აქ პაციენტებს ემსახურება ყველა პროფილის ექიმი, ახლახან კლინიკას შემოუერთდა რევმატოლოგი არჩილ არეშიძე.

„იმერმედი“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩართულია დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს ლაბორატორიულ კვლევებსა და სპეციალისტთა კონსულტაციებს თანადაფინანსებით.

კლინიკაში შესაძლებელია მაღალტექნოლოგიური და ლაბორატორიული კვლევების ჩატარება 24/7.

დიალეზის ცენტრი, სტომატოლოგიური კაბინეტი, ინფექციური განყოფილება, ფსიქიატრული და კლინიკაში არსებული ყველა განყოფილება სრული დატვირთვით მუშაობს.





***

არის თერჯოლაში, ქალაქის ცენტრში, კლინიკა „იმერმედი“, იგი ტაძარს გადაჰყურებს, კლინიკაში შესული თითოეული თანამშრომელი, პაციენტი, მათი ახლობლები პირჯვრის გადასახვით აძლიერებენ და თავს უყრიან უმთავრეს სულიერ ძალებს, რაც კარგად ვლინდება პაციენტთა განკურნებისათვის თავდაუზოგავ მცდელობაში... უფლისმიერი ნათელი და მოწყალების ღვთაებრივი ნაკადული უხვად გადმოდის მლოცველზე.

ჟუჟუნა ცხადაძე

თოჯინები მოგვითხრობენ უფლებებზე...

„მადლობა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამას, რომ მომცა საშუალება წარმომეჩინა ჩემი მოსწავლეების შესაძლებლობები განსხვავებული ფორმით“—ელისო ჩიქოვანი, სოფელ ღვანკითის სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: სსიპ გურამ ქარქაშაძის სახელობის ღვანკითის საჯარო სკოლაში, ჯერ კიდევ გასულ სასწავლო წელს, დაიწყო განხორციელება მცირე საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტისა, რომელსაც ჰქვია „თოჯინები მოგვითხრობენ უფლებებზე“.

პროექტის მიზანია, როგორც „თერჯოლასთან“ პროექტის ხელმძღვანელი სამოქალაქო განათლების პედაგოგი ელისო ჩიქოვანი ამბობს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მათთვის ბავშვთა უფლებებისა და მოვალეობების არასტანდარტული ფორმით მიწოდება, პროექტის განხორციელებაში სწავლების ფორმალური და არაფორმალური ელემენტების მიზნობრივი შერწყმა. პროექტის ფარგლებში სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები შეისწავლიან თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო შემდეგ ამ ყველაფერს გადასცემენ თავიანთ პატარა მეგობრებს, უმცროსკლასელებს მათთვის ყველაზე სახალისო ფორმით —თოჯინების თეატრის საშუალებით.

„ალბათ ბევრს გაუკვირდება რა შუაშია თოჯინები სამოქალაქო განათლებასთან. ჩვენი პროექტის მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ განსხვავებული სახალისო ფორმით აგვემაღლებინა მოსწავლეებში ცნობიერება ადამიანის და ბავშვთა უფლებების შესახებ. პროექტის ფარგლებში დავგეგმეთ ბევრი საინტერესო აქტივობა, მოსწავლეებმა გაიარეს ტრენინგები ადამიანის და ბავშვთა უფლებების შესახებ. მოვიწვიეთ რეჟისორი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ასევე ხელოვნების გაკვეთილებზე მოსწავლეებმა შექმნეს თოჯინები და მოაწყვეს მოძრავი სცენა, მოვამზადეთ სცენარი, გავანაწილეთ როლები, მუსიკის გაკვეთილებზე მუსიკალურ გაფორმებაზე იზრუნეს და საბოლოო ჯამში მივიღეთ შედეგი: გავმართეთ თეატრალური წარმოდგენა“—ამბობს პროექტის ავტორი.

დაუვიწყარია ის დღე ღვანკითის საჯარო სკოლაში, როდესაც სკოლის სამოქალაქო კლუბის მიერ შექმნილი და USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის მიერ დაფინანსებული თოჯინების თეატრის წარმოდგენა გაიმართა. თეატრი შეიქმნა სკოლის ბაზაზე. დაიწერა სცენარი და სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებმა ია ყვავაძემ, ანამარია რობაქიძემ, თიკა კოვზირიძემ, ნიკა კუპატაძემ და გიორგი ზარნაძემ მოირგეს როლები, პატარა მსახიობებმა შესანიშნავად განასახიერეს სხვადასხვა პერსონაჟები.

სასცენო დეკორაციები განსაკუთრებული ძალისხმევით შექმნა სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარემ, კლუბის აქტიურმა წევრმა, მხატვრობის ნიჭით დაჯილდოებულმა გივი წაქაძემ. მან თითოეული დეტალი ზედმიწევნით ზუსტად მოარგო სცენარს. დეკორაციებმა, ისე როგორც მთლიანად თეატრმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე. სცენისთვის ფარდები მასწავლებელმა ნანა ტყემალაძემ, თოჯინები ხელოვნების პედაგოგთან ერთად, მკერავთან კონსულტაციის შემდეგ შეკრეს სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა: ქრისტინე კუბლაშვილმა, ნინი ასათიანმა, ანანო გავაშელაშვილმა და მერვე კლასის მოსწავლემ თეკლა ბუსკივაძემ. გრაფიკულ დიზაინზე იმუშავა სამოქალაქო განათლების კლუბის ლიდერმა ლიკა ცერცვაძემ, რომელმაც საინტერესო და ორიგინალური ფორმით წარმოადგინა პროექტის პრეზენტაცია. ღონისძიებას მეათე კლასის მოსწავლე ნინი გავაშელაშვილი უძღვებოდა.

სკოლაში გამართულმა თოჯინების თეატრმა მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს მხოლოდ დასაწყისია...

პროექტის დასკვნითი ღონისძიება

სსიპ ღვანკითის საჯარო სკოლაში ინტეგრირებული პროექტის „თოჯინები მოგვითხრობენ უფლებებზე“ დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების წამყვანმა ლიკა ცერცვაძემ და ნინი გავაშელაშვილმა დამსწრე საზოგადოებას პრეზენტაციის სახით წარუდგინეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

დასკვნით ღონისძიებაზე სამოქალაქო კლუბის წევრებმა გიორგი ზარნაძემ, თიკა კოვზირიძემ, ია ყვავაძემ, ანამარია რობაქიძემ და ნიკა კუპატაძემ კიდევ ერთხელ წარმატებით წარმოადგინეს ბავშვთა უფლებების თემაზე დადგმული თოჯინების სპექტაკლი მაყურებელთა წინაშე. თოჯინების სპექტაკლს ესწრებოდნენ პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები და მოწვეული სტუმრები: მაია რობაქიძე, დარეჯან მემანიშვილი, ნანა თოთაძე—სამოქალაქო განათლების პროგრამის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ქრისტინე ჩიხლაძე—რეგიონალური ორგანიზაციის პროექტების კოორდინატორი, ნუცა მაისურაძე— USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის გრანტების კოორდინატორი.

პროექტის გეგმით განხორციელებული აქტივობა შეაჯამეს: სკოლის დირექტორმა ინგა ჯალიაშვილმა, მეორე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების ექსპერტმა სოფო სიუკაევამ, რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ, მამა ანდრია ყიფიანმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მადიმ დოლაკიძემ, სტუმრებმა: ლანა თოთაძემ, ქრისტინე ჩიხლაძემ და ნუცა მაისურაძემ, მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის ხელმძღვანელმა ნათია გამყრელიძემ, მოსწავლეთა მშობლებმა ირინა ხუჯაძემ და ნათია სიხარულიძემ.

ყველა მათგანმა მაღალი შეფასება მისცა პროექტს და მადლობა გადაუხადეს როგორც პროექტის ავტორსა და სულისჩამდგმელს, ასევე მოსწავლეებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში.

პროექტის ხელმძღვანელმა კი თანადგომისათვის მადლიერება გამოხატა პროექტის მონაწილე პედაგოგების, მოსწავლეებისა და სკოლის დირექციის მისამართით.

წლის შემაჯამებელი ღონისძიება ქუთაისში

შემდეგი იყო იმერეთი, ქუთაისში USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის წლის შემაჯამებელი ღონისძიება...

პროგრამა პარტნიორმა სკოლამ იმერეთში სსიპ გურამ ქარქაშაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვანკითის საჯარო სკოლამ გახსნა წლის შემაჯამებელი ღონისძიება ფორუმ თეატრის ჩვენებით, თემაზე „რა არის სამოქალაქო განათლება?“—პედაგოგი ელისო ჩიქოვანი.

„USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის“ წლის შემაჯამებელი ღონისძიების ფარგლებში შეჯამდა პროგრამის ერთწლიანი სამუშაო ეტაპი.

იმერეთის რეგიონის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მათ მიერ განხორციელებული პროექტების პრეზენტაციები (კერძოდ, სკოლების სამოქალაქო განათლების კლუბების, მოსწავლეთა თვითმმართველობების, საგრანტო კონკურსისა და კერძო სექტორის ჩართულობით განხორციელებული პროექტების პრეზენტაცია).

მოეწყო საგამოფენო სივრცე, სადაც ასახული იყო სკოლების მიერ წლის მანძილზე განხორციელებული პროექტები.

პროგრამის რეგიონალურ შემაჯამებელ ღონისძიებას 300-მდე ადამიანი—იმერეთის 93 სკოლის, PH International—საქართველოს“ და პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე იმერეთის 12 მუნიციპალიტეტიდან საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულოსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები დაესწრებიან.

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის მიზანია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების, სამოქალაქო პროცესებში ჩართული ახალგაზრდების აღზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა-სწავლების პროცესში, სკოლაში დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობას, ბიზნესისა და სკოლების დაკავშირებას...

პროგრამას ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია PH International ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტოს (USAID) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“ წარმოადგენს პროგრამის რეგიონალურ პარტნიორ ორგანიზაციას იმერეთში.

მადლობა სამოქალაქო განათლების და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრებს: გივი წაქაძეს, ქრისტინე კუბლაშვილს, თეკლა ბუსკივაძეს, ნიკა კუპატაძეს, ია ყვავაძეს, თიკა კოვზირიძეს, ანამარია რობაქიძეს, გიორგი ზარნაძეს დაუღალავი და ენერგიული შრომისათვის...

მადლობა სკოლის დირექტორს და პედაგოგიურ კოლექტივს ხელშეწყობისათვის და გვერდში დგომისათვის“.

ასეთია რეგიონალური ორგანიზაციის შეფასება და განწყობის გამოხატვა. ასეთია ზოგადად პროგრამის ერთწლიანი სამუშაო ეტაპი. პროგრამა გრძელდება, შემდგომი შეჯამება ქ. თბილისში მოხდება.

წარმატებებს ვუსურვებთ ღვანკითის საჯარო სკოლას, სამოქალაქო განათლების კლუბის წევრებს და მათ ხელმძღვანელს ახალგაზრდა, პერსპექტიულ ენერგიულ და აქტიურ პედაგოგს ელისო ჩიქოვანს... წინ არაერთი ლამაზი პროექტი, ღონისძიება და გამარჯვებაა...

მზია ცქიფურიშვილი

შემოდგომის თვეების გენიოსები

შემოდგომის თვეებს ბევრი გამოჩენილი ღირსეული ქართველის დაბადების დღე ამშვენებს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ილია ჭავჭავაძე, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, მურმან ლებანიძე თუ მრავალი, მრავალი სხვა...

ამჯერად გალაკტიონ ტაბიძეზე მოგითხრობთ, რომელიც 1891 წლის 17 ნოემბერს დაიბადა ახლანდელი ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში.

სულ მინდოდა რაიმე დამეწერა, უფრო სწორად— გამომეხატა დიდი სიყვარული მისდამი. კალამს ვერ ვკიდებდი ხელს რიდით. გალაკტიონი ხომ მოვლენაა არა მარტო ქართულ პოეზიაში!

ასე, რომ სურვილი სურვილად დამირჩა, ვერა და ვერა, ვერ შევძელი. არ მეთაკილება ამის აღიარება.

ბედად ასევე დიიიდი მწერალ-მემატიანის კონსტანტინე გამსახურდიას კალამს ვუმადლი, რომ შესაძლებელს მიხდის პოეზიის მოყვარულ მოსწავლე-ახალგაზრდობას ჩავავლებინო თვალი მისეულ სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს: „მე არაერთხელ გამღვიძებია ღამით და გალაკტიონი მომლანდებია. აქამდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის ერთი ამბავი: ირაკლი აბაშიძე, სერგი ჭილაია და მე სამკურნალო კაბინეტში შევდიოდით შალვა დადიანის გამოსასვენებლად. გალაკტიონი ერთ კუთხეში იდგა, დამინახა თუ არა წამოვიდა და კოცნა მიმინდომა, მე მას არ ვაკოცე და ცივად გავეყარე, დიდხანს არ გამაჩეროს მეთქი. ეს დამრჩა სანანებლად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, რომ მე არ მეყო შორსმჭვრეტელობა და მასთან არ დავყოვნდი იმ დღეს. მერმე ის იყო, იმ დღეს დაგველუპა გალაკტიონი. ჩვენი სასიქადულო დიდი გალაკტიონი“.

ყოველი შემოქმედი თავისებურად იტანჯება, ყოველ ჩვენგანს ათასი დემონი ულადრავს გულს, მაგრამ ვიმეორებ კულტურა სულისა ეგ არის ვნებათა დაოკება. როცა გალაკტიონის გული გაკვეთეს ექიმებმა, ჭაბუკური სიჯანსაღის აღმოჩნდა ეს გული.

გ -----
ა -----
ლ ----
ა ----
კ ----
ტ ----
ი ----
ო ----
ნ ----
ტ ----
ა ----
ბ ----
ი ----
ძ ----
ე ----

ჩვენს მოსწავლეებს, პოეზიის მოყვარულთ ვთავაზობთ კროსვორდს.

მიზანი?

კიდევ ერთხელ გადავფურცლოთ დიდი პოეტის კრებული, კიდევ ერთხელ ვიგემოთ მისი პოეზიის სიტკბო.

დავალება ასეთია: ყოველი ბგერის გასწვრივ დაწერეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების სათაურები.

გალაკტიონის აჩრდილი

ეძღვნება დიდ პოეტს

ქარი ჩამდგარა, მუხლი შეუსვენებია
„მერის თვალებია?“ თუ „ლურჯა ცხენებია?“
როგორც „მე და ღამე“, როგორც „ელეგია“
ღრუბელი გაფანტულა—მთაწმინდას შერევია...
ზეცაში მგზავრობს პოეტის სული
მეგზურათა ჰყავს „მთაწმინდის მთვარე“
ვერა, ვერ მოვრჩი პოეტის კითხვას
გალაკტიონი ვერ დავამთავრე...

კროსვორდის პასუხები: გავიდა ხანი, ატმის ყვავილები, ლურჯა ცხენები, არ ღირს იმ ერთ ცრემლად, კაკლის ხე მთაწმინდაზე, ტალახში, იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს; ორი ზარი, ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, ტროლები, არწივებს ჩასძინებოდათ, ბედს იქით, ისევ ეფემერა, ძველი, ეს მშობლიური ქარია.

მოამზადა
ნუგზარ გამყრელიძემ

გასული საუკუნის, პირველი ნახევრის ქართველი პოეტებისა და მწერლების უნიკალური ჯგუფური ფოტო გალაკტიონის კომენტარით

მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი სვანი, ბარნაბა გელაზანია, ილია ბახტაძე, ია ეკალაძე, მიხაკო ჯანოევი (ნემო), თეოფილე ხუსკივაძე, კონსტანტინე გამსახურდია, ჯაჯუ ჯორჯიკია, დათიკო მებუკე (ცვარნამი), ლელიკო ჯაფარიძე.

სხედან: ტიციან ტაბიძე, გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ლადო დარჩიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ისიდორე კვიცარიძე.

1957 წლის 20 ნოემბრის ღამეს გალაქტიონმა ამ ფოტოს შესახებ თავის დღიურში ჩაწერა:

„აკაკი ჯოხზეა დაყრდნობილი.

სახე დიდებულად აქვს. გამოირჩევა ყველასაგან... რა დიდებულია დავით კლდიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი და ლადო დარჩიაშვილი. სამი უმწიკვლო პიროვნება.

- დიდებულია, დიდებული! - ამბობს ის.

- ფოტოგრაფო, მე შენ შემოგყურებ, - ამბობს აკაკი სვანი.

- ხონის პროლეტარიატი იწევს, რათა ჩაებას ბრძოლაში, - ამბობს ილია ბახტაძე.

- სოციალისტების არა მჯერა რა, - ამბობს ია ეკალაძე.

- დოვუსტვინო? დოვუსტვინო? - გრიალებს ნემო.

- თხზულებანი, ბატონო, თხზულებანი! - რატომღაც გაიძახის თეოფილე ხუსკივაძე.

რას ამბობს კონსტანტინე გამსახურდია?

რას ფიქრობს ნეტა ჯაჯუ ჯორჯიკია?

რაზე ოცნებობს დათიკო მებუკე?

რა მიზნებს ისახავს მომავალში ლელიკო ჯაფარიძე?

ვარლამ რუხაძე?

ვეშაპიძე?

ტიტია? მაშინ ხომ ტიციანი არ ერქვა“.

„ყველაზე უბრალოდ აქ მე ვარ ...“, - დაწერა მოგვიანებით გალაკტიონ ტაბიძემ.



გალაკტიონ ტაბიძე დიდად აფასებდა ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს სახალხო მწერალს დავით კლდიაშვილს და მის შემოქმედებას, მის ოჯახს...

იგი დავით კლდიაშვილზე წერდა:

„როდესაც ხელში ვიღებ დავით კლდიაშვილის წიგნს, არ შეიძლება გავიფიქრო: აი, კლდიაშვილი, განუმეორებლად მეტყველი, თავისებური კოლორიტით მწერალი... რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა მსოფლიო ლიტერატურაში სოლომონ მორბელაძე. ვერცერთი მწერალი ვერ მოისაზრებდა გამოესხნა ბეკინა და ერთადერთი მთელ შავიზღვისპირეთზე დარისპანი, რომელიც მოგზაურობს თავისი ურყევი მიზნით... რომ დავით კლდიაშვილი არა, დაუხატველი დარჩებოდა კაროჟნა, მშვენიერზე მშვენიერი კაროჟნა...“

გალაკტიონ ტაბიძე და ნუცა (ნინო) კლდიაშვილი (დავით კლდიაშვილის ქალიშვილი, სიმონეთში დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი 1976 წლამდე)

ქეთი ბერძენიშვილი

ქართულ მედია საზოგადოებას ღირსეული და გამორჩეული წევრი გამოაკლდა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი ქეთი ბერძენიშვილი. ქეთიმ 1995 წელს, ქუთაისში, დააფუძნა რადიო „ძველი ქალაქი“. 2004 წლიდან კი რადიო „ძველ ქალაქთან” თანამშრომლობის ფარგლებში, ქუთაისიდან ამზადებდა რეპორტაჟებს „რადიო თავისუფლებისთვის“. 2017-2020 წლებში „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტი იყო, აშუქებდა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს.

ქეთის უყვარდა ის საქმე, რასაც რამდენიმე ათეული წელი ერთგულად ემსახურა. იგი იყო თავისი ქვეყნის და მშობლიური ქალაქის ჭეშმარიტი პატრიოტი, ყოველთვის იდგა იქ, სადაც ფიქრობდა და ჯეროდა, რომ მისი ხმა მნიშვნელოვანი იყო...

კარგად გვახსოვს ქეთის პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში. მისი თბილი და საოცრად ყურადღებიანი დამოკიდებულება კოლეგებთან, საერთოდ ადამიანებთან. ის მუდამ გაწონასწორებული იყო თავის შეფასებებში. უშიშარი, ბრძოლისუნარიანი, პრინციპული, მუდამ მომღიმარი და საოცრად პოზიტიური—სწორედ ასეთად დარჩება ყველასთვის, ვინც კი მას იცნობდა...

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ქეთი ბერძენიშვილის გარდაცვალების გამო, თანავუგრძნობთ ოჯახს, მეუღლეს და შვილებს, საახლობლოს, კოლეგებს.

გაზეთი „თერჯოლა“

„იმერეთი“, „საპოვნელა“, „ჯეოგენი“ ...

თერჯოლის ამ ქორეოგრაფიული ანსამბლების სახელი კარგა ხანია გასცდა ქვეყნის ფარგლებს. სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობამ მოუტანა მათ წარმატებები, აღიარება და ახალ-ახალი მიღწევები.

ანსამბლების სამხატვრო ხელმძღვანელის გოჩა ჭანკვეტაძის, ხელმძღვანელი ქორეოგრაფების: ირინა ბუცხრიკიძის, გიორგი და თამარ ჭანკვეტაძეების მაღალი პროფესიონალიზმის და პასუხისმგებლობის, მუხლჩაუხრელი შრომისა და ხელოვნების ამ უმშვენიერესი დარგისადმი უსაზღვრო სიყვარულის შედეგია სწორედაც, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგზის გაჟღერდა საქართველოს ამ პატარა და კოპწია რაიონის, თერჯოლის სახელი... ანსამბლებისათვის სხვადასხვა წლებში მინიჭებული ჯილდოები კი სამუდამოდ შემორჩება ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების მატიანეს.

ანსამბლების თავდაუზოგავი მუშაობა ახალი მიღწევებისათვის გრძელდება. ამის დასტურია თუნდაც წლევანდელი ზაფხულისა და შემოდგომის არაერთი ბრწყინვალე საფესტივალო თუ საკონკურსო გამოსვლა. მხოლოდ რამდენიმეს შევახსენებთ ჩვენს მკითხველებს: თერჯოლის სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ ერთადერთი იყო, იმერეთის რეგიონიდან, რომელმაც საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მიერ ორგანიზებული ფესტივალის გალაკონცერტში მიიღო მონაწილეობა. კონცერტზე, 27 აგვისტოს, რუსთაველის თეატრში „იმერეთის“ გამოსვლას უამრავი აღფრთოვანებული მაყურებელი, მათ შორის კულტურისა და სპორტის მინისტრი ქალბატონი თეა წულუკიანი აჯილდოებდა აპლოდისმენტებით. დიახ, იყო აღიარება და ამის დასტურად ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს გოჩა ჭანკვეტაძეს ოქროს მედალი და საპატიო სიგელი პირადად მინისტრმა გადასცა.

მანამდე, ზაფხულში, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლები „საპოვნელა“ და „ჯეოგენი“ მიწვეული იყვნენ ქობულეთსა და ბათუმში ფოლკლორის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, იყო წარმატებული გამოსვლები და უამრავი ჯილდო და აპლოდისმენტები. ქობულეთის საერთაშორისო ფესტივალზე მაღალი დონის გამოსვლამ „საპოვნელას“ პატარებს ფესტივალის ყველაზე მაღალი ჯილდო—გრანპრი მოუტანა.

თერჯოლელმა მოცეკვავეებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ტელეკომპანია მე-12 არხის მიერ პირდაპირ ეთერში გამართულ კონკურსში, სადაც ჟიურის შემადგენლობაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ. „საპოვნელას“ გამოსვლა ერთ-ერთ წარმატებულად შეფასდა.

აჭარაში გატარებული დღეები ულამაზეს მოგონებად დარჩება ანსამბლის თითოეული წევრის ცხოვრებაში.

ამ ზაფხულს ანსამბლები „საპოვნელა“ და „ჯეოგენი“ მიწვეულნი იყვნენ სერბეთში, ფოლკლორის მსოფლიო კონკურს-ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, მათი საუკეთესო გამოსვლა ანსამბლის სოლისტების ნიკოლოზ და გენადი ტოფაძეების და ნინო ოდიკაძის ფესტივალის პრიზებით დაჯილდოებით და ანსამბლების მაღალი შეფასებით აღინიშნა.

ანსამბლები თითქმის ყველა მუნიციპალური ღონისძიების აქტიური მონაწილეა და მათ თითოეულ გამოსვლას, თითოეულ ახალ ნომერს სიყვარულით ელოდებიან თერჯოლელი მაყურებლები, რომელთა იმედებს ჩვენი მოცეკვავეები ყოველთვის ამართლებენ.

ანსამბლების ხელმძღვანელობა მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს თანადგომისა და ხელშეწყობისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872